# მაია არავიაშვილის ინტერვიუ კულტურის ცენტრ ,,ფესვები“-ს ხელმძღვანელთან, შორენა ბარბაქაძე

2023 წლის, 26 მარტი, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები

**ინტერვიუერი:** - მოგესალმებით, დღევდანდელი ჩვენი ინტერვიუს რესპონდენტი არის ქალბატონი შორენა, რომელიც ხელმძღვანელობს ქართული კულტურის ცენტრს „ფესვებს“.

გთხოვთ, რომ გაგვაცნოთ ბიოგრაფიული მონაცემები, როდის, სად, ვის ოჯახში დაიბადეთ, აი ამაზე, რომ მოგვიყვეთ, საქართველოში თქვენი ცხოვრება, რომ გაგვაცნოთ.

**რესპონდენტი:** - მოგესალმებით, უღრმესი მადლობა, რომ შეაჩერეთ არჩევანი ჩემს ინტერვიუზე და რა ვიცი, ცოტა გრძელი შეიძლება გამოვიდეს და დიდი ისტორია, მარა ვეცდები, რომ როგორღაც ჩავტიო მოკლე ფორმატში. მე ჩამოვედი 19 წლის ამერიკაში, ეს იყო 24 წლის წინ, 25-ე წელი დაიწყო, რაც ჩვენ ამერიკაში ვცხოვრობთ და დავიბადე ქალაქ რუსთავში, ამმ... დედაჩემი საბავშვო ბაღის გამგე იყო ფსიქოლოგის ..... აღზრდის და მამიკო ვეტერინარი, მაგრამ ოჯახში მამაჩემის მხრიდანაც და დედაჩემის მხრიდანაც ყველა მღეროდა, ცეკვავდნენ, მამაჩემი და მამიდაჩემი სკოლის ოლიმპიადებზე, როგორც იყო კომუნისტების დროს ოლიმპიადები ოლიმპიადებზე ყოველწელს გამოდიოდნენ, ფანდურს უკრავდნენ, გიტარას უკრავდა მამაჩემი და ასე ხმებში მღეროდნენ ხოლმე, ასე, ცნობილები იყვნენ ბარბაქაძეები იმთავითვე, ჩემს უბანში, რუსთავში, სადაც დავიბადე. ჩვენც რა თქმა უნდა, მე და, მე ორი და მყავს, სამივე, დაბადებიდანვე სიმღერა გვესმოდა, ხალხური სიმღერა, მერე წამოვიზარდეთ და ხმებში უკვე შეგვეძლო გაშლა ხალხური სიმღერის, მამაჩემზე ბედნიერი ადამიანი

არავინ არ იყო და ესე გვასწავლიდა ხალხურ სიმღერებს, თვითონაც ანსამბლში მღეროდა, თეატრში, რუსთავში, მეტალურგიის კულტურის სახლში არსებული, იყო ესეთი ხალხური ანსამბლი და იქ მღეროდა ჩემი მამიკო, „შვიდკაცას“ ეძახდნენ და რასაც თვითონ სწავლობდა მერე ჩვენ გვასწავლიდა ხმებში და როდესაც ჩვენ მივდიოდით გზაზე, სოფელში თუ სადმე სტუმრად, ყოველთვის სიმღერ-სიმღერით დავდიოდით. მოგეხსენებათ 90-იან წლებში შუქი არ იყო, ესე გავიზარდეთ ჩვენი თაობის ბავშვები და დღისით როგორც კი მოვრჩებოდით გაკვეთილებს საღამოს ყველა ერთად ვიკრიბებოდით სამზარეულოში, სადაც ერთი გაზი არსებობდა, გვქონდა მაგისი ბედნიერება რომ გაზი გვქონდა და ასე, სამზარეულოში სიმღერ-სიმღერით, დაძინებდამდე ვართობდით მეზობლებსაც, იცოდნენ, რომ შუქი რომ ჩაქრებოდა, ბარბაქაძეები იწყებდნენ კონცერტს, ფანდურით, გიტარით და ხალხური სიმღერებით ესე. ასე გავიზარდე და ნუ ცეკვა იყო ჩემი ჰობი და დღემდე არის რა თქმა უნდა, იმ უშუქობაში, იმ სიცივეში, რა თქმა უნდა, ჩვენი მშობლები არიან გმირები რომ ამ ყველაფერს აკეთებდნენ და დავყავდით ცეკვაზეც და მუსიკალურ სკოლებშიც, სამივემ, მეც და ჩემმა დებმაც მუსიკალური სკოლა დავამთავრეთ, შვიდწლედები, ცეკვაზე დავდიდოდით სამივე, ფანდურზე, გიტარაზე, ყველაფერზე, რაც შეეძლოთ ჩემს მშობლებს მოგვცეს ბავშვობაში, იმ არეულ სიტუაციაში და მართლა გმირები არიან იმ პერიოდის მშობლები ყველა. შემდეგ, როცა სკოლა დავამთავრე, თბილისში წამოვედი სასწავლებლად და მე ვსწავლობდი თარჯიმან... მეორე კურსზე ვიყავი, როცა პარალელურად ვცეკვავდი, ანსამბლი „ვარაზი“ და იყო გასტროლი ამერიკაში, 98 წლის დეკემბერში და ერთ-ერთი, როგორც ამ ანსამბლის მოცეკვავე 25 კაცში მოვხვდი, რომლებიც ჩამოვედით ამერიკაში. ჩემი და ჩემი მეუღლის შეხვედრა იყო ალბათ ესეც, უფლის ნება, იმიტომ, რომ ჩემი მეუღლე მუსიკოსია, უბადლო შემსრულებელი ხალხური საკრავების, კომპოზიტორი, მუსიკოსი, უკრავს 13 ინსტრუმენტზე და ჩემი მეუღლეც რა თქმა უნდა მუსიკოსთა ოჯახში დაიბადა, ჩემი მამამთილი იყო დამსახურებული სახალხო არტისტი, ალექსანდრე გოდერძიშვილი, რომელიც

ანსამბლ „კოლხეთში“ მღეროდა და რა ვიცოდი თუ ვანოს შევხვდებოდი, იმიტო რომ ანსაბმლი „კოლხეთის სიმღერებზეც გავიზარდეთ.

**ინტერვიუერი:** - ანუ ამერიკაში შეხვდით თქვენ ერთმანეთს?

**რესპონდენტი:** - არა, ეხლა გეტყვით, რეპეტიციაზე, როცა გადაწყდა, რომ მივდიოდით ამერიკაში, ჩვენ მოცეკვავეების ჯგუფი ვიყავით ანსამბლი და ჩემი მამამთილი, ჩემი მომავალი მეუღლე და ერთ-ერთი კიდევ, მესამე ადამიანი, მოვიდნენ რეპეტიციაზე, რომლებიც აირჩნენ, რომ გადაწყვიტეს რომ გამოგვყოლოდნენ, როგორც მომღერლების ჯგუფი, ცეკვის დროს, კონცერტის დროს, ჩვენ როცა გამოვიცვლიდით, როგორც ხდება, მუსიკოსები მღერიან, მომღერლები მღერიან, მერე ჩვენ ვიცვლით და ასე, აი ეს სამი ადამიანი, აღმოჩნდა ჩვენთან ერთად და იქ მოხდა ჩვენი პირველი დანახვა ერთმანეთის, მაგრამ არც სახელი ვიცოდი, არც გვარი ვიცოდი, ესე თვალებით, რომ დააფიქსირებ, რომ გიყურებს რა, ესეთი სიტუაცია აღმოჩნდა (იცინის). მოკლედ სულ ორჯერ ვნახე თბილისში ჩემი მეუღლე და გამოვფრინდით კიდეც ამერიკაში.

**ინტერვიუერი:** - რომელი წელია?

**რესპონდენტი:** - ეს არის 98 წელი, 1998 წელი. სადღაც ნოემბერში შევხვდით ერთმანეთს და დეკემბერში უკვე გამოვფრინდით, თან რაღაც ჩათვლები მქონდა მე და 1-2 რეპეტიცია გამიცდა წამოსვლის წინ და ესე აღმოვჩნდით 25 კაცი ამერიკაში.

**ინტერვიუერი:** - 19 წლის ასაკში...

**რესპონდენტი:** - 19 წლის ასაკში კი, მე როგორც გასტროლზე წამოვედი, დედაჩემ-მამაჩემი ვერც იფიქრებდნენ, რომ უნდა დავრჩენილიყავი, იმიტომ რომ არც მქონდა ოჯახში ისეთი სიტუაცია, მიუხედავად იმ სიდუხჭირისა , რომ მე წამოსვულიყავი და ოჯახისთვის მემუშავა, ეს ნამდვილად არ მქონდა, აი ეს რომ ეფიქრა დედაჩემს და მამაჩემს ნამდვილად არ გამომიშვებდნენ 19 წლის გოგოს, წამოვედი გასტროლებზე და უკან უნდა დავბრუნებულიყავი 3 თვეში, მაგრამ შეიცვალა სიტუაცია, როგორც ხდებოდა დაპირებები არ აღმოჩნდა ისეთი, ძალიან დიდი გაჭირვება გამოვიარეთ,

კვირაში 10$-ზე და ნუ იმის გახსენება აღარ მინდა, 25 კაცი ორ ოთახში ვცხოვრობდით, ერთ ოთახში გოგოები, მეორეში ბიჭები, რიგრიგობით ვიძინებდით ხოლმე და ნუ არ იყო ესეთი სიტუაცია, რომ 3 თვეში უკან დავბრუნებულიყავით, თან იყო ისეთი ის, რო იმდენად გვპირდებოდნენ რო დღეში 100$ და კონცერტები კონცერტებზე, რომ ბილეთი ჩვენ თვითონ ავიღეთ მოცეკვავეებმა და ამ ბილეთის აღებისთვისთვის ძალიან ბევრს მოუხდა პროცენტიანი ვალის აღება, უკან ვეღარ ჩამოვიდოდით, იმიტომ, რომ ჩემს ოჯახს ნამდვილად ვალი არ ჰქონია ცხოვრებაში და ვერ დავადებდი ვალს და ესე დავრჩით ოცდახუთივე კაცი სამი თვე ერთ რესტორანში ვცეკვავდით და ნუ მერე რომ გვითხრეს, უკვე ჩვენ აღარ შეგვიძლია თქვენი ბინის ქირის გადახდა, ხელმძღვანელებმა დაიშალეთ ან წადით დაბრუნდით, ნუ დავიშალეთ და 4 გოგო ჩვენ წამოვედით ფლორიდაში.

**ინტერვიუერი:** - ანუ ქალაქი, სადაც იყავით თავდაპირველად?

**რესპონდენტი:** - ნიუ-იორკში ვიყავით თავიდნავე, ამ არეალში, სადაც ეხლა ვცხოვრობთ... და ხო... ჩვენ, მე და კიდევ სამი გოგო... ერთ-ერთ გოგოს ჰყავდა ახლობელი ფლორიდაში, რომელიც მუშაობდა სასტუმროში სუპერვაიზერად და სჭირდებოდა ხალხი და გამოვფრინდით ფლორიდაში. ნუ ჩემი მომავალი მეუღლე შეყვარებული იყო მაშინ და გაგიჟებული იყო ჩემზე, ჩემს მამამთილთან ერთად, ისინი მუშაობდნენ ყველაზე კარგად, რესტორანში სიმღერა ჭირდებოდათ, ცეკვა აღარ ჭირდებოდათ და რომ წავედით, ნუ ვეღარ გაძლო და ყველაფერი დატოვა და მე მივდივარ შორენასთან (იცინის) და 1-2 კვირაში ჩამომაკითხა, მაგრამ რა თქმა უნდა მაშინ მე უარზე ვიყავი, ძალიან დიდ უარზე ვიყავი, არანაირად არ ვთანხმდებოდი, იმიტო, რო ჩემს მეუღლეს მაშინ თბილისში ჰყავდა შვილი, ნუ მეუღლეს გაცილებული იყო და სახლიდან იყო წასული, მაგრამ ვიცოდი, რომ ყავდა ცოლ-შვილი და ამაზე ძალიან დიდ უარზე ვიყავი. კი მიმტკიცებდა, რომ გაცილებულია, სახლიდან წასულია, აღარ მაქვს ურთიერთობა, არ ვარ მაგრამ როგორც მოგეხსნებათ ტრადიციული ოჯახში გაზრდილი გოგო ვიყავი და ძალიან დიდ უარზე ვიყავი, მშობლებს უნდა გაეგოთ,

თანხმობა უნდა მიმეღო და აი ასე და იყო ეს ჭიდილი ჩემსა და ვანოს შორის, ჩემს მამამთილიც, ეხლა ამხელა ადამიანი მიმტკიცებდა, რომ შვილო, მაგაზე პრობლემა არ გექნება, გაცილებულია, არც ბავშვზე შეგიქმნით პრობლემას და არაფერი, დათანხმდი და მოკლედ მთელმა ნიუ-იორკმა იცოდა, რო ვანო იყო შეყვარებული შორენაზე (იცინის) და ვინც კლიენტები შემოდიოდნენ რესტორანში, ფრთხილად იყვნენ ჩემთან, არც გამარჯობასაც არ მეუბნებოდნენ, ვანო არ გაბრაზდესო (იცინის), ძალიან დიდი ისტორიაა, მე კიდე კარგად ვერ ვყვები, ვანომ იცის ხოლმე კარგი მოყოლა და როცა ჩავედით ფლორიდაში და ვინც დაგვხვდნენ იქ ქართველები, ლია და ლუიზას, ძალიან საყვარელი ადამიანები იყვნენ, დიდი როლი შეასრულეს ჩვენს ცხოვრებაში, სულ იძახნდენ, რომ ვანოს სიყვარულზე დიდი წიგნის დაწერა შეიძლებაო, როგორ ეუბნები უარს ასე უყვარხარო, მოკლედ ჩართული იყო მთელი ნიუ-იორკი ჩემს და ვანოს ურთიერთობაში, რომ დალაგებულიყო. ნუ 7 თვის მერე როგორღაც დალაგდა, ვანომ ჩამომაკითხა, მერე წავიდნენ სხვა შტატში, სამსახურის გამო, იმიტო რომ ეს რესტორანი რომ დატოვა და არ ჰქონდათ სახსრები, ამათაც უნდა ემუშავათ, შესაბამისად ვანო სხვა მოცეკვავეებთან ერთად south Carolina- ში, ესეთი შტატი არის ამერიკაში, იქ იყო სამსახური მაშინ სასტუმროებში, ეს იქ წავიდა, ჩვენ ფლორიდაში დავრჩით და აი ასე წინ და უკან, რამდენი საათია south Carolina-დან ფლორიდამდე, ალბათ არის 10 საათი, ესე დადიოდა ყოველ დღე ხელფასს აიღებდა ხოლმე, ჩამოვიდოდა, წავიდოდა, აიღებდა ჩამოვიდოდა, წავიდოდა (იცინის), ხარჯავდა თავის ხელფასს ამ წასვლა - წამოსვლაში. მოკლედ როგორღაც მერე მივაწოდეთ ინფორმაცია დედაჩემს და მამაჩემს და ნუ შედგა ის რომ მე და ვანო დავქორწინდით ფლორიდაში და დაიწყო ჩვენი ოჯახური ცხოვრება, მერე მოხდა ისე, რომ ფლორიდიდან south Carolina-ში გადმოვედით და south Carolina-დან წამოვედით ისევ ნიუ-იორკში, 2000 წელს დავბრუნდით ისევ ნიუ-იორკში და ჩვეულებრივად როგორც ყველა ემიგრანტი, მუშაობდა ვანოც, ვმუშაობდი მეც, თან ვცეკვავდით, ჯგუფი გვქონდა მოცეკვავეების, არ დაგვიკარგია ერთმანეთი, 25-ვე კაცი დღესაც შემიძლია გითხრათ ვინ სად არის და გვაქვს, ზოგთან ძალიან ახლო ურთერთობა, ზოგთან ცოტა

ისე დისტანციური ურთიერთობა, მაგრამ ბევრი ამ 25 კაციდან ნათლიები გავხდით ერთმანეთის და ეს გაჭირვება, ეს ემიგრაცია ერთმანეთით გადავიტანეთ.

**ინტერვიუერი:** - აი პირველი გამოცდილებები, რომ გაიხსენოთ, აი რა გამოწვევების წინაშე დადექით, აი გარდა იმისა, რო სამსახური არ იყო, გიწევდათ ქალაქიდან ქალაქში გადასვლა, რა სირთულეები შეგხვდათ, ყველაზე მძიმედ რა გახსოვთ, როგორ გაუმკლავდით, როგორ დაძლიეთ, ან ვისთან ერთად?

**რესპონდენტი:** - პირველი რაც მახსოვს, როცა ჩავფრინდით ფლორიდაში და გავიარე ტრენინგი, როგორ უნდა დაგველაგებინა, ნუ ეხლა ქართველ (გოგოს) ... მე მაგალითად დედაჩემი ყოველთვის გვასწავლიდა და როგორც ხდებოდა ხოლმე, ეძახდნენ „უბორკას“ და ყოველკვირა გვქონდა „უბორკა“ სახლში (იცინის), გოგოები ვიყავით და უნდა გვცოდნოდა ყველაფერი, რა თქმა უნდა არ გაგვჭირვებია ჩვენ ამ სასტუმროების დალაგება რო აგვეთვისებინა, ისე როგორც ითხოვდნენ და როდესაც პირველად, აი პირველად გავედი მე მარტო სუპერვაიზერის გარეშე, ჯერ კარგად ვიტირე, წარმოვიდგინე... იმიტო რომ ჩამაცვეს ფორმა, რომელიც... ძაან გამხდარი ვიყავი და ესე 10 ზომით დიდი მქონდა, ჩემი ზომა ვერ იპოვეს, ზევიდან ესეთი წინსაფარი და დიდი კალეტას ეძახიან, ზედ დალაგებული ყველაფერი, რაც მჭირდება, რაც უნდა გამოვიყენო და ვაწვები ამას და მივათრევ, ესე ტირილ-ტირილით და ვტიროდი იმას, რომ დედაჩემს... დედაჩემმა არ იცოდა, რომ ასეთი გაჭირვება, არ ვიძახდით და არ ვეუბნებოდით მაშინ კვირაში ერთხელ ვრეკავდით 5 წუთით, მაშინ მეტი საშუალება არ იყო, არც თანხა იყო რომ კარტები გვეყიდა და მთავარი იყო კვირაში ერთი დღე ხმა გაეგოთ, რო ჩვენ ცოცხლები ვართ და კარგად ვართ და რა თქმა უნდა არ ვიძახდით, რომ ესეთ გაჭირვებას გავდიოდით ამ დღეებს და თვეებს, ვამშვიდებდით, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რაღაცა, რაღაცა და პირველი რომ, უნდა დამეკაკუნებინა კარებზე, რომ მე ვარ housekeeper-ი, housekeeping…. ერთ-ერთი ის იყო, რომ ვარ housekeeper-ი და უნდა დავალაგო და დამჭირდა რამოდენიმე წუთი, რომ ეს ყველაფერი გამეკეთებინა, ვტიროდი და ვტიროდი და ვაიმე დედიკო და ეხლა ნეტა

დაგანახა ჩემი თავი და აქ რა მინდა და ვსწავლობდი და სხვა გეგმები მქონდა და უცბად აღმოვჩნდი housekeeper-ად და დამლაგებლად სასტუმროში, რა თქმა უნდა არ ვიძახი, იმიტომ, რომ არ ვიკადრე და რაღაც, ნუ ესე მოხდა, იმიტომ, რომ სხვა გეგმები მქონდა და სხვა გეგმებში აღმოვჩნდი უცებ და ეს აი, დღემდე, ყოველთვის, ყოველთვის მახსენდება და სასტუმროში, როცა ვხვდები, აი ძალიან ბევრი გასტროლები გვაქვს და რომ გამოვდივარ სასტუმროდან, ყოველთვის ვცდილობ, რომ ისე დავუტოვო ოთახი და თანხაც დავტოვო, რასაც მე  ველოდებოდი ყოველთვის, რომ შევდიოდი ხოლმე რომ, იქ ხელფასის გარდა, როცა 5 დოლარნახევარი გაქ ხელფასი ხომ, იქ ეძებ კიდე რო მაგალითად, ვინმემ ხომ არ დატოვა ეს რაღაცა ზედმეტი, იქნებ კარგი ადამიანი აღმოჩნდა, რომ გათვლილი 5$ გარდა რაღაცა ზედემტი დაგრჩეს, რომ შენს თავს უფლება მისცე, რაღაცა ზედმეტად იყიდო, ამას ველოდებოდი ხოლმე, პროსტა ახლა ვცდილობ, რომ გამოვდივარ რომ, დავტოვო თანხა, ოთახიც ისეთი მოწესრიგებული, რომ სწრაფად დაალაგონ და გადავიდნენ კიდე სხვა ოთახში, ეს გამოყოლილი მაქვს ნამდვილად, 24 წლის წინ რაც გავიარე. დაძლევა ალბათ ვფიქრობ, რომ მერე ეს ჩვენი შეუღლება, რომ მოხდა ეს ერთმანეთი არ დაგვიკარგავს ქართველებს და ამ ყველაფერმა გადაგვატანინა, ერთმანეთს ვეხმარებოდით ფინანსურად, სამსახურებითაც და ის რომ მერე ვცეკვავდით კიდევ, ჯგუფი გვქონდა და რესტორანში, დაბადების დღეები იყო, თუ ახალი წელი იყო, დღესასწაულები და ქორწილებში გვეპატიჟებოდნენ, ეს კიდევ ცალკე გვეხმარებოდა და ის... ფინანსური გაჭირვება კიდევ სხვა არის, მაგრამ ფსიქოლოგიური წნეხი კიდევ სხვა არის, მაგრამ ამ ჩვენმა ერთობამ ეს ფსიქოლოგიური წნეხი გადაგავტანინა, ძალიან რთული იყო მათთვის, ვისაც შვილი ყავდა, ვისაც ცოლი ან ქმარი ყავდა დატოვებული, მათთვის სხვა რაღაცა იყო, ეხლა მე მარტო ვიყავი და მერე, როდესაც ჩემი შეუღლება მოხდა, ფსიქოლოგიურად არ გამჭირვებია, იმდენად რამდენადაც შეიძლება სხვას ეს გადაეტანა, ანუ როცა ახალგაზრდა და პატარა ხარ სხვანაირად გადაგაქვს, როცა სხვა ასაკში ჩამოდიხარ ამხელა ოჯახი კისერზე გაწევს, კიდე სხვანაირად გადაგაქვს. ჩვენ ეს ერთად ყოფნამ ვფიქრობ, რომ ფსიქოლოგიურად არ გაგვჭირვებია არანაირად, მერე

როცა უკვე ორსულად დავრჩი, თან ჩემი მამამთილი იყო და გვეხმარებოდა ისიც ფინანსურად, სანამ დაბრუნდებოდა საქართველში, სამი წლის მერე დაბრუნდა ჩემი მამამთილი და ნუ რავიცი, როცა ჩემი პირველი შვილი გავაჩინე, გიორგი იყო მთელი ემიგრაციის ბავშვი (იღიმის), ყველა მოდიოდა სანახავად და გიორგიზე გადაქონდათ ის სითბო და ის სიყვარული და ის მონატრება, რაც მოკლებული ჰქონდათ თავიანთი ოჯახებიდან. როგორც ესეთი, დაიბადა გიორგი, დღემდე, 22 წლის არის და დღემდე ემიგრაციის თვალია და დღემდე ემიგრაციის წინ ესე გაიზარდა, აღიზარდა, ქართველ ვაჟკაცად ჩამოყალიბდა და მთელი ძველი ემიგრაცია, ვისაც ახსოვს გიორგის დაბადება შეტრფის გიორგის და უსურვებენ რომ, როგორიც აქამდე წარმატებული იყო და თავისი საქმის პროფესიონალი, რასაც აკეთებს, ასე უსურვებს ყველა, რომ უყვარს და ყველა ძველ ემიგრანტს გიორგის სურათი აქვს სახლში და სადაც მიდის და ვისაც ხვდება - დედიკო აღარ მახსოვს ეს ადამიანი, მარა ასე მეუბნება შენი სურათი მაქვს სახლში... ყველა... რომ ცეკვავდა და რომ ესეთი თბილი ბავშვი იყო ყველა იღებდა სურათებს და ყველა ძველი ემიგრანტის სახლში და ალბომში გიორგის სურათია, რაც ძალიან მიხარია.

**ინტერვიუერი:** - აი ცოტა რო შევეხოთ ასევე მოლოდინებსაც, აი თქვენ რომ საქართველოდან წამოხვედით, როგორც მითხარით სხვა მოლოდინები გქონდათ, რამდენად განსხვავებული სიტუაცია დაგხვდათ აქ და აი ამ გადმოსახედიდან ახლა, ისევ თუ წამოხვიდოდით, ისევ თუ მიიღებდით იგივე გადაწყვეტილებას, ამ გამოცდილებაზე დაფუძნებით

**რესპონდენტი:** - მოკლედ მოლოდინები მაქედან როგორც ავღნიშნე უნდა გვეცეკვა ჩვენ და კონცერტების თანხით დაგვრჩენოდა უნდა ხელფასი, ანუ 3 თვით მოვდიოდით და დღეში გვპირდებოდნენ 100$-ს, წარმოიდგინეთ ეხლა, ჩაბნელებული საქართველოდან რომ მოდიხარ, დღეში 100$ და 3 თვეში რამხელა თანხას აგროვებ და ბრუნდები უკან, ეს იყო ერთი მომენტი, რაც არ გამართლდა და მერე ყველაფერი ჩვენს თავზე იყო დამოკიდებული, რა ნაბიჯებს გადავდგამდით, შემეძლო

დავბრუნებულიყავი და ჩემი მშობლები რა თქმა უნდა სიხარულით შემხვდებოდნენ, გარდა იმისა, რო შეიძლება ვალი დადებოდათ, მაგრამ კიდე იყო ის მეორე მხარე, რომ ნამდვილად არ ვაპირებდი, რომ ოჯახი შემექმნა მარა, ასე მოხდა და შევქმენით ოჯახი და მოლოდინი ის იყო, რომ, როცა გიორგი გაჩნდა, ჩემი შვილი, 5 თვის საქართველოში გამოვაგზავნეთ, რომ ჩვენც უკან დავბრუნებულიყავით, რაც შეიძლებოდა მალე, მაგრამ აქ დაბადებულ ბავშვს ის პრივილეგია ჰქონდა, რომ როცა გინდა უკან ჩამოიყვანდი, იმიტო რომ პასპორტიანია ეს ბავშვი და ვფიქრობ, რომ ჩვენ როგორც ახალგაზრდებმა, მაშინ ბევრი შეცდომა დავუშვით, მმმ... ვერ გავთვალეთ ის, რომ ამდენხანს მოგვიწევდა აქ ყოფნა და არ დავაჩქარეთ ჩვენი გასაბუთიანება, ვმუშაობდით, როგორც ყველა ემიგრანტი, ვმუშაობდით, ახალგაზრდებიც სხვანაირად ხარჯავენ, გგონია რომ სულ გექნება და გვერდზე არ დებ არაფერს და ვერასდროს ვერაფერს ვერ ვაგროვებდით მე და ვანო და ვერ მოვდიდოდით, სულ გვინდოდა დაბრუნება, ყოველი დღე ჩვენი, თენდებოდა იმით რო, დავბრუნებულიყავით საქართველოში, რაღაცა შეგვეძინა, რაღაცისთვის ხელი მოგვეკიდა, ნუ ვერ გამოვიდა, არ ვიცი რას დავაბრალო, ჩვენ ახალგაზრდობას დავაბრალო თუ დროის ცუდად გამოყენებას, შეიძლება ასე ითქვას, რომ დრო ვერ გამოვიყენეთ და ვერ გავთვალეთ ის ფაქტი, რომ, ამდენხანს მოგვიწევდა აქ ყოფნა და როცა უკვე მერე ოჯახი იქმნება ბავშვებით უკვე ძალიან, ძალიან რთულია რაღაცა გვერდზე გადადო, თან ისეთი სიტუაცია, რომ ჩემს მეუღლეს ბევრი სამსახურის გამოცვლა მოუწია, ქართული იმით იქ მიდიხარ და ცოტა ვიღაცა რაღაცას გეტყვის, ესე ქართველები არ იღებდნენ ამას არასდროს, მოდიხარ იმ სამსხურიდან, მერე სხვას ეძებ, მერე ესა და მერე ესა. ესეთი ერთ სამსახურში არ გვიმუშავია, ყოველთვის ესე მიდიოდა-მოდიოდა სამსახურები, ეს 1 დღე რომ არ მუშაობ ამერიკაში, უკან მიდიხარ 1 კვირით. მოკლედ ვერ შევაგროვეთ, ვერ მოვაგროვეთ, ვერ დავბრუნდით და გიორგი ისევ უკან ჩამოვიყვანეთ და ნელნელა გამოჩნდა ამ წლების განმავლობაში ერთი ქართველი ბავშვი, მეორე ქართველი ბავშვი, მესამე ქართველი ბავშვი, რომლებიც ქართულად აღარ საუბრობდნენ ერთმანეთში და მაშინ შემოვირტყით თავში ხელი მე და ჩემმა მეუღლემ,

გიიორგი ჩამოვიყვანეთ, რა ვქნათ, როგორ უნდა გავაკეთოთ, ჩვენმა შვილმაც, რომ ესე ილაპარაკოს ინგლისურად და არ ისაუბროს ქართულად, ეს ჩვენთვის ძალიან დიდი დარტყმა იქნებოდა, თუმცა, ამ პერიოდში, სანამ გიორგი უკან დავაბრუნეთ, 2001 წელს, ქართველები ვიკრიბებოდით ხოლმე ეკლესიაში, მართმადიდებელ ეკლესიაში, მამა ალექსანდრე იყო მაშინ ჩვენი მოძღვარი, რომელიც დღემდე აგრძელებს თავის მოძღვრობას და ძალიან კარგად უძღვება ქართულ წირვა-ლოცვას და მაშინ ქართველი გოგოები, რომლებიც მხედავდნენ, რომ მე აქტიური მოცეკვავე ვიყავი, ჯგუფიც გქვონდა და სხვადასხვა ივენთებზეც გამოვდიოდით, მთხოვეს, რომ მოდი გვასწავლე ქართული ცეკვა, არ იყო მაშინ ინტერნეტი, არ იყო ასეთი ჩართულობა ზუმით და მესენჯერებით, ვერც ტელეფონზე, როგორც ავღნიშნე კვირაში ერთი დღე ვრეკავდით და არაფერი ქართული არ არსებობდა და ენატრებოდათ ამ გოგოებს ქართული მუსიკის გაგებაც კი და სიმღერის გაგებაც და 2001-ში, ეკლესიის სარდაფში დავიწყეთ შესწავლა, დავაწყებინე შესწავლა ქართული ცეკვების და კვირა დღე იყო ყველასთვის ზეიმი, რომ მოდიოდნენ და ესე ქართული მუსიკა... ჩემი მეუღლე აკორდონს უკრავდა, მეორე ჩემი მეგობარი დოლს უკრავდა და ასე დოლ-გარმონით 2001-ში, იკლავდნენ საქართველოს მონატრებას ეს გოგოები და რა თქმა უნდა ჩვენც და მერე უკვე აქ რო ეს ბავშვები დავინახე და ნელნელა უკვე აღარ საუბრობდნენ ქართულად და უკვე ჩვენი შვილი გვყავდა, ნამდვილად მოითხოვა სიტუაციამ, რომ რაღაცა ქართული შეგვექმნა და აქედან წამოვიდა იდეა თორე, როცა ჩამოვდიოდით 98 წელში, არ გვქონდა ეგ მოლოდინები ნამდვილად, მაგრამ ცხოვრების სიტუაციამ მოიტანა და დაგვანახა ის, რომ რაღაცა ქართული შეგვექმნა ამ ბავშვებისთვის და 2003 წლიდან უკვე დავიწყეთ ბავშვების აყვანა, თავიდან 4 მოსწავლე მყავდა სულ და ამ 4 მოსწავლეს მე თვითონ მანქანით ესე დავატარებდი, რეპეტიციებზე მოვიყვანდი, მერე უკან ვაბრუნებდი და ძაან ჩართული ვიყავი, რომ მშობლები არ შემეწუხებინა, იმიტომ რომ ყველას თავისი საქმე ჰქონდა, ყველას თავისი დრო გათვლილი ჰქონდა და ეს ბავშვები არ დარჩენილიყვნენ ჰაერში. არ გაეცდინათ მითუმეტეს და ასე 2001 წლიდან მოყოლებული დღემდე ვემსახურებით ქართულ საქმეს, რა თქმა უნდა მერე

გავიზარდეთ, გამჩნევენ, თუ კი  სადმე ვინმეს ქართული კულტურის წარმოჩენა სჭირდება, იმის გვერდზე და იმათ გვერდზე ვდგავართ,  არ გვეზარება არც სხვა ქალაქში წასვლა, არც სხვა შტატში წასვლა, დავდვართ ევროპაშიც აუცილებლად, ის კარგია რომ ჩვენ ბავშვებსაც ვაჩვენებთ სხვა ქვეყნებს, სხვა ქალაქებს, სხვა შტატებს და ასევე ისინი ვინც იქ გვხვდებიან ხედავენ ქართული კულტურა რა არის და მთვარეზეც, რომ გავფრინდეთ ქართველები თუ იქ მოვხვდებით ოდესმე, იქაც შევქმნით ჩვენს სიტუაციას და არ დავივიწყებთ ქართველობას, ნამდვილად გაამართლა იმან, რომ პირველი თაობა ვინც იყო „ფესვებში“ დღემდე საუბრობენ ქართულად, დღემდე ქართულ მუსიკას უსმენენ, ქართული ოჯახები შექმნეს ძალიან ბევრმა, ასევე ჩემი შვილის თაობა, გიორგის თაობა, რომლებიც... გიორგიზე უფროსები მოვიდნენ... ჩემი გიორგი პატარა იყო... გიროგის თაობაც თავისუფლად საუბრობს ქართულად, ჩემი დანარჩენი შვილებიც, 4 შვილი გვყავს, ყველა საუბრობს ქართულად, ერთმანეთის დაანახვა უყვართ, დარბაზში ყოფნა უყვართ, ქართული საქმის კეთება უყვართ და სიამაყით დამყვებიან ყველგან 24 საათი, 24 საათის განმავლობაში ქართული საქმის გვერდზე იქნებიან და ამაყობენ, რომ ქართველები არიან და გაგვაქვს ეს ქართული კულტურის სახელი ყველგან, სადაც მიგვიწვდება ხელი, ხმა და... ეს შევქმენით, ნამდვილად არ გვქონდა მაგის მოლოდინი რომ ამხელა სკოლა, შევძლებდით, თავიდან სხვათაშორის, რომ დავიწყეთ, ბევრს ეცინებოდათ, რატომ წვლობთ და რისთვის წვალობთ, ვის რათ უნდა შენი ქართული აქ, ამერიკაში, მაგრამ ნამდვილად დავამსხვრიეთ ეს აზრი და ისიც კი, რომ ჩემი ნათესავები, ჩემი მშობლები სულ მეუბნებიან რა თქმა უნდა,  დაბრუნდით, დაბრუნდით, ბავშვები, ბავშვები ქართულად ვერ გაიზრდებიან, გადაგიგვარდებიან და ამაზე ტიროდა ყველა. ესეც დავანახე ყველას, რომ სადაც არ უნდა იყო თუ გინდა, ნამდვილად გაზრდი ბავშვებს ქართულად და ჩემი შვილებიდან გამომდინარე ვიტყვი, რომ თავისუფლად საუბრობენ, წერენ და კითხულობენ, სხვათაშორის რუსუდან მასწავლებლის დამსახურებაა, რომ ჩემი გოგონები, იქ მერე ორი წელი გამოუშვით საქართველოში და იქ ისწავლა ქართული წერა-კითხვა და მარიამი და თეკლე, რუსუდან მასაწვლებელმა შეასწავლა წერა-

კითხვა, პატარა სოფი გვყავს კიდე 6 წლის, ისიც რუსულდან მასწავლებელთან იზრდება და დღეს მარიამი 18 წლის ასე თარჯიმნად მუშაობს ადვოკატის ოფისში, ქართული და ინგლისური, იმდენად იციან ჩემმა შვილებმა ინგლისური და მაგათთან ერთად ძალიან ბევრმა და სხვათაშორის მინდა ავღნიშნო, რომ ამ კვირაში, თურქული რაღაც კომპანიაა, რომელსაც უნდათ, რომ ჩვენთან ითანამშრომლონ და შოუებს აწყობენ და უნდათ, რომ ერთხელ მივიღეთ მონაწილეობა და იმდენად მოეწონათ ეს ჩვენი ბავშვები, რო დღემდე აი ესე ურთიერთობა გვაქვს და სადაც წავლენ უნდათ რო ჩვენმა ბავშვებმა იცეკვონ, არა მარტო ქართული და თავიანთ ცეკვებსაც ასწავლიან, სხვა ცეკვებსაც ასწავლიან, ოღონდ ჩვენ გავყვეთ ყველგან. გუშინ წინ დავამთავრეთ ორკვირიანი რეპეტიციები ამათთან, მერე კიდე აპრილში ჩამოვლენ, კიდე ოქტომბერში ჩამოვლენ და რაღაც მინდა გითხრაო სანამ წავალო, რაც შევატყვეო ამ ორი კვირის განმავლობაშიო მოვდივარო და ვუყურებო, ეს ხელმძღვანელია და არა ქორეოგრაფი, როგორ ახერხებთო ამ ბავშვებთანო, რომ ერთმანეთშიო, რასაც დავაკვირდიო, ეს ბავშვები ერთმანეთშიც კი ქართულად საუბრობენო, საუბარია 14 წლიდან 20 წლამდე ბავშვებში, როგორ ახერხებთო ამ ყველაფერსო, ჩვენთანო ხომ ძალიან ბევრი თურქები ვართო და ძალიან დიდი community გვაქვსო, იმ ქალაქში, სადაც ვცხოვრობთო, ბავშვები ერთმანეთში საერთოდ არ საუბრობენ თურქულადო, ბევრმა თურქული არ იცისო და თქვენ რას აკეთებთ იმისთანასო, რომ ეს ბავშვები ერთმანეთშიც კი ქართულად საუბრობენო. აი ამაზე მეტი საამაყო რა უნდა მითხრა და რა ფულმა უნდა გადაწონოს და რა სიმდიდრემ უნდა გადაწონოს, რომ მე ეს ყველაფერი დავტოვო და წავიდე და ისეთი საქმე ვაკეთო, რომ ამერიკაში ვცხოვრობ და ფული მქონდეს, ეგ სიუტუაცია არ არის ჩემს ოჯახში, ჩვეულებრივად ამ ქართულ საქმეს შევწირეთ მე და ჩემმა მეუღლემ მთელი ჩვენი ცხოვრება და ყველაზე მეტი დაფასება ეს არის რომ ხალხი ხედავს ამას, რო ეს ბავშვები ქართველებად დარჩნენ, რასაც ემსახურებდი და რისთვისაც დავიწყეთ ეს ყველაფერი და ნუ ამ ყველაფერთან ერთად თაობები გადავარჩინეთ, ქართული კულტურის სახელი გაგვქავს ყველგან, ორი კვირის წინ ატლანტაში გვქონდა გასტროლი, ჯორჯიის შტატში და დღემდე

მიკავშირდება ხელმძღვანელი ვინც იყო ამ ფესტივალის და დღემდე, შორენა, საუბრობენ ამ ფესტივალზე და დღემდე ამ ბავშვებზე და დღემდე ამ ცეკვებზე და დღემდე ამ ფორმებზე საუბრობენ, ეს რა იყო და რა გვაჩვენეთო.

**ინტერვიუერი:** - აი მაგ შემთხვევას, რომ ჩავუღრმავდეთ ცოტა, თურქი ბიზნესმენის, პარტნიორის კითხვას, რას აკეთებთ, ფუნქციურად რო დავფიქრდეთ, რას აკეთებთ ისეთს, რასაც შეიძლება სხვები არ აკეთებდნენ, აი ქართული იდენტობის შესანარჩუნებლად, ერთი არის ცეკვა, ვთქვათ ქართულის სწავლება, მაგრამ შეიძლება ისეთი მიდგომა გქონდეთ სწავლების ან ურთიერთობის, კომუნიკაციის რაც დამატებით მექანიზმია, რო ქართველობა ყოველდღიურ პრაქტიკაში გქონდეთ აი ამას რო ჩავუღრმავდეთ.

**რესპონდენტი:** - ჩვენ საერთოდ, მე და ჩემი მეუღლე სახლში მოვითხოვდით, ბავშვები, ერთმანეთში, როცა საუბრობდნენ ქართულად ჩემი შვილები, იმათაც ვთხოვდით, რომ ყოველთვის... სახლში ფეხს ვერ შემოდგამდით, ქართულად ესაუბრათ. გიორგი, როცა გავუშვით საქართველოში ორი წლით, მესამე და მეოთხე კლასი გაიარა საქართველოში და იქ ეუბნებოდნენ გიორგი გვასწავლე ინგლისური, ინგლისური ლაპარაკიო, არაო, მამაჩემმა რომ გაიგოს მეჩხუბებაო (იღიმის), იქაც კი ქართულად საუბრობდა, არ ჰქონდა იმის შიში, რომ ინგლისური დაავიწყდებოდა, ეს ერთი. მერე პატარა ბავშვები, ვანოს ეძახდნენ ბუას, ვანო ძია მოდისო, ბუა ძიაო, ქართულად ილაპარაკეთო, როგორც კი ვანოს დაინახავდნენ ერთმანეთში რომ ინგლისურად საუბრობდნენ, ვანოს გამოჩენა და ქართულად გადაკეთება ყველაფრის ერთი იყო (იღიმის), ის ბავშვები, ვინც დღეს უკვე 18 წლისები არიან და ჩვენს ხელში დაიბადნენ, ჩემს შვილებთან ერთად, დღემდე, აი ფეხის ადგომიდან დღემდე მომყვებიან და ის პატარები, როცა იყვნენ ვანოს ეძახდნენ ბუას, ვანო, ბუა ძია მოდისო, ჩქარა ქართულად ილაპარაკეთო, ანუ ეს აქვთ იქედანვე, როცა დარბაზში შემოდიან რომ, დარბაზში რომ შემოდიან ქართულად ისაუბრონ, კი გვეპარება  რაღაც მომენტები, არის რომ ინგლისურად, ინგლისურად, ინგლისურად, მაგრამ როგორც კი გავიგებ, რომ ინგლისურად საუბრობენ, ესე თავზე

ვადგავარ, ნუ  ეს არის ქართული სკოლა, სად დადიხართ, რა ქვია თქვენს სკოლას? – „ფესვები“, მერე „ფესვები“ რა არის ვუხსნით და მაიკებზე გვაწერია ქართულად და ინგლისურად და ეს უნდა იცოდნენ, რა სკოლაში დადიან, რატომ ქვია „ფესვები“ რისთვის უნდა შენარჩუნდეს, იმიტომ, რომ თვითონ აქ სისტემა, ნიუ-იორკში განსაკუთრებით, ყველა სკოლაში, სადაც დადიან ბავშვები, ყველა სკოლაში არის გამოყოფილი ერთი დღე, რომ ეროვნული კულტურა, ვინ საიდან არის, რომ წაროაჩინონ, კოსწიუმი იქნება საჭირო, ეს ქართული სამზარეულო თუ როგორც შეუძლიათ მშობლებს, წარმოაჩენენ ხოლმე და ყოველ წუთს არის ნიუ-იორკში „where are you from”, საიდან ხარ, უნდა იცოდნენ საიდან არიან, არის ოჯახები, ვისაც არ აინტერესებს, ნამდვილად, ქართულად ილაპარაკებს თუ ინგლისურად არ აინტერესებს, გარდა იმისა, რომ არის პრობლემა ბავშვებში, როცა 2 და 3 ენა ესმით, რა თქმა უნდა, ყველა ურჩევს რომ ინგლისურად ალაპარაკდნენ ბავშვები, 3 წლამდე, 4 წლამდე უჭირთ ბავშვებს ენის ამოდგმა და ერთი ენა უნდა აარჩიონ, გარდა ამისა, ამ შემთხვევას არ ვეხები, როცა აუცილებელია ერთ ენაზე ისაუბრონ, არის ოჯახები, რომელთაც არ აინტერესებთ, რა ენაზე ისაუბრებენ.

**ინტერვიუერი:** - წილობრივად, აი რამდენად, რამდენად ბევრია ის ოჯახები, რომლებსაც არ ადარდებთ ქართულად ისაუბრებენ თუ არა მათი შვილები და რამდენი ცდილობს, რომ ქართველობა შეინარჩუნოს, ქართულად ისაუბროს, ქართული რაღაც ცხოვრების წესი...

**რესპონდენტი:** - ვინც ჩვენთან მოდის, ალბათ პირველი აქვს თავში ის, რომ უნდათ რომ ქართველობა შეინარჩუნონ, სხვაგვარად ვერ მოხვდება „ფესვებში“, ვერცერთ ქართულ გარემოში, ქართულ სკოლაში მშობელი არ მიიყვანს, არ ჩათვლის, რომ ღირდეს ამაში თუნდაც პატარა თანხის გაღება, იმიტო, რომ აბა მე როგორ უნდა შევინარჩუნო ამხელა დარბაზი იქნება თუ რაც იქნება ხომ, ამ ყველაფერს მშობლები ანაზღაურებენ, არ ჩათვლის საჭიროდ რომ, იქ მოვიდეს თანხა გადაიხადოს, დაჯდეს,

დაელოდოს, კონცერტზე გამოგყვეს, ესეთი ოჯახი, ნაკლებად მოდის, ქართულ გარემოში, თავს იკავებენ და სხვა რაღაცაში...

**ინტერვიუერი:** - აი ქართველობაში თვითონ, თქვენთვის როგორც ამხელა კულტურის ცენტრის ხელმძღვანელისთვის, ქართველობის შენარჩუნებისთვის, ქართული იდენტობის შეძენაში და კვალწარმოებაში რას მოვიაზრებთ, რას ნიშნავს თქვენთვის ქართველობის შენარჩუნება

**რესპონდენტი:** - პირველ რიგში ის, რომ რაც ქვია ჩვენი კულტურის ცენტრს -„ფესვები“, უნდა ახსოვდეთ, აუცილებლად უნდა ახსოვდეთ საიდან არიან, ის რომ უნდა იცოდნენ, რომ როგორი კულტურის და ქვეყნის წარმომადგენლები ვართ, ყოველთვის ვამახვილებთ ამაზე ყურადღებას, შეიძლება რეპეტიციის დროს ამისი საშუალება არ იყოს, მაგრამ, როცა უკვე იზრდებიან ბავშვები და მიგვყავს ვთქვათ გასტროლზე, მიგვყავს დასასვენებლად, ლექციასავით ვუტარებთ ამ ბავშვებს, თუ რას ნიშნავს ქართველობა, რა ისტორია გამოვიარეთ, ესეთი პატარა ქვეყანა როგორ გამოვძვერით იმ პერიოდში და არ გადავშენდით და ამერიკაშიც, მიუხედავად იმისა, რო ქართველი ამერიკელები არიან, უნდა შეინარჩუნონ ქართველობა, იმიტო, რომ ნამდვილად გვაქვს საამაყოა, ნამდვილად გვაქვს წარმოსაჩენი და მსოფლიოს უნდა გავაცნოთ რომ არ ვართ რუსები, არამედ ვართ ქართველები და პატარა ერის, სასწაული ერის შვილები ვართ. ყოველთვის სჭირდებათ ამ ბავშვებს, პროექტები კეთდება სკოლებში, ზეიმები კეთდება, კონცერტი კეთდება თუ რაც კეთდება, სიამაყით აკეთებენ პროექტებს და სიამაყით წარმოაჩენენ, რო ამათი ფესვები საქართველოდან აქვთ და ქართველები არიან, რავიცი ჩემთვის, ჩემთვის, არ ვიცი როგორ ვთქვა, ძალიან დიდი პატრიოტი ვარ ჩემი ქვეყნის, ჩემი მეუღლეც ასევე, ალბათ ეს ჩვენი პატრიოტიზმი, რომ არ გვქონოდა, ამ ყველაფერს ვერ გავუძლებდით, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი წნეხი გავიარეთ, დღემდე გავდივართ და უფლისწყალობით კიდევ ჩვენი შრომა ერთია, მშობლების დგომა გვერდში ერთია და უფლისწყლობა კიდე ყველაზე მთავარია, როგორ სასწაულად მოვაღწიეთ ალბათ ქართველებმა დღემდე, ესე გადარჩა ეს „ფესვები“ 22

წლის განმავლობაში და სასწაულად, ბევრჯერ დანებება გვინდოდა თავის, ბევრჯერ მოდი, აღარ გვინდა არაფერი, მაგრამ უფლის წყალობით დღემდე ვარსებობთ და დღემდე ყოველ ჯერზე, მშობლები მირეკავენ, რომ შორენა, გამოუშვი ბავშვები, ხვალე სკოლა აქვთ, დაშალე, წამოვიდნენ სახლში, ერთმანეთი ყავთ, ერთმანეთი უხარიათ და პირველი თაობის ბავშვები დღემდე ეხმარებიან ერთმანეთს, სამსახური გინდა, იგივე ნათლიები გახდნენ, იგივე ერთი წრე აქვთ და ასე მოყვებიან თაობებს და ბევრი მშობელმა, „ფესვებში“ გაიცნო ერთმანეთი და დღეს ოჯახები ნათესავები არიან, აი ეს რომ არ დავიკარგოთ და სხვა ერთან არ მოხდეს ჩვენი არევა და შევინარჩუნოთ მაქსიმალურად ესეთი ქართული კულტურის ცენტრები ამას ვაკეთებთ, იმიტო, რომ უფრო მეტი გვაქვს ქართველებს ნოსტალგია, პატრიოტიზმი, გვეგონა, მაგრამ მე რომ ვუყურებ სხვა ერების წარმომადგენლებს ესე არიან, ასე არიან ბევრნი, მუსულმანებიც, არაბი იქნება ეს თუ პაკისტანელები, ყველა ცდილობს შეინარჩუნოს, ყველა ცდილობს თავისი ეკლესია ჰქონდეს, ყველა ცდილობს სალოცავი ჰქონდეს და რატო არ უნდა გვქონდეს ჩვენ, ქართველებს, რა გვაქვს დასაკარგი, პირიქით, ყველას უნდა გავაგებინოთ ვინ ვართ, რა ვართ, რა ტიპის წარმომადგნლები და საიდან მოვდივართ და უნიჭიერესი ბავშვები გვყავს და ვიცი, რომ ძალიან ბევრს მიაღწევენ ეს ბავშვები და ის ბავშვობაში ჩადებული კოდი, რო ქართველები არიან, მერე როგორ გამოადგება საქართველოს, ამაზეც ძალიან ბევრს ვფიქრობ, იმიტო, რო უნიჭიერესი ბავშვები არიან და მართლა ვიცი, რო ძალიან ბევრ ადგილებში, ქართველი ბავშვები ხვალ და ზეგ დაიკავებენ თანამდებობებს და ნამდვილად იმ ბავშვობაში ჩადებული კოდი უნდა ახსოვდეთ, ვინ არიან რომ, რაღაცით მაინც საქართველოს თუ არა აქაურ ქართველობას მაინც მიახმარენ და თუ საქართველოს მიეხმარებიან და იქ დაბრუნდებიან და იმ ქვყენისთვის რაღაცას გააკეთებენ, ჩვენი ოცნება ალბათ კიდე ასრულდება და ასრულდება, ეს არის კიდე ჩვენი მიზანი.

**ინტერვიუერი:** - აი საქართველოსთან კონტაქტს და კომუნიკაციასაც რომ შევეხოთ, ქალბატონმა რუსუდანმა, ესე სიამაყით აღნიშნა ინტერვიუს დროს, რომ თქვენ 2015 წლის წყალდიდობის დროს საქველმოქმედო კონცერტები გააკეთეთ და დაეხმარეთ

დაზარალებულებს და თქვა რომ ხშირად ატარებთ კონცერტებს საქართველოში, იქაც ჩაგაქვთ ის საქმე, რასაც აქ ემსახურებით, რომ გვითხრათ, გარდა პროფესიული საქმიანობისა და ბავშვების წაყვანისა, როგორია თქვენი საკომუნიკაციო სტრუქტურა, როგორ ურთიერთობთ საქართველოსთან, რამდენად გეხმარებათ იქ თქვენი კომუნიკაცია აქ, თქვენს საქმიანობაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში, რა ფორმით ურთიერთობთ?

**რესპონდენტი:** - ვერ ვიტყვი ყოველდღიურ ცხოვრებაში, საერთოდ არ გვიყვარს ჩვენ ხალხის შეწუხება, რასაც ვაკეთებთ ძალიან ბევრს ვიღებთ ჩვენს მხრებზე, ასე ვთქვათ, ძალიან ბევრს, ჩვენს დროსაც, იმ სამუშაო დროსაც, ფინანსებსაც და არ მიყვარს შეწუხება იქით, რომ აი მე ესა და ეს ვარ და არიქა ეხლა ამას ვაკეთებ და ჩქარა დამეხმარე და რაღაცა, ვიღაცა უნდა შევაწუხო. ისიც ჩვენი სახსრებით თუ წავსულვართ, მივდივართ და მაგალითად 2015 წელს რომ ჩავედი, იყო რამდენიმე ბავშვი ისეთი, ვინც პირველად ჩვენ ჩამოგვყვა და ჩვენ ჩავიყვანეთ საქართველოში და შეხვდა თავის ნათესაობას და მერე მეორე წელსაც წავიდნენ და მშობლები - რას გვიშვებით შორენა და ვანო (იცინის), ამდენის საშუალება არ გვაქვს, იმიტო რომ ბევრი შვილები ჰყავთ და ისე შეაყავრეთო და შეუყვარდათო, ყოველწელს გვთხოვენ რომ წავიდეთო საქართველოშიო, მოკლედ ჩვენი საქართველოში კომუნიკაცია ჯერ ოჯახებიდან დავიწყებ რომ, ძალიან უყვართ ბავშვებს იქაურობა, რამოდენიმე წელი ბავშვები რომ აქ არიან და არ აქვთ ნანახი საქართველო, მერე როგორღაც ახერხებენ მშობლები ან მე მომყვებიან ან მიჰყავთ, ბავშვების რეაქცია არის ესეთი -დედიკო, აქ ამხელა სახლი გვაქვს, ამხელა ეზო გვაქვს და იქ რატომ ვართ ამ ერთ ოთახში და ორ ოთახში გამოკეტილები, უკან დაბრუნება აღარ უნდათ ხოლმე ბავშვებს, სულ უნდათ, რომ საქართველოში იყვნენ, ძალიან ბევრს, განსაკუთრებით პატარა ასაკში რომ გალაღებულები არიან და დარბიან და დაფრინავენ და ყველგან უშვებენ და ყველგან შეუძლიათ წასვლა, აქ ეს შეზღუდულია, აქ ნაბიჯს ვერ გადადგამენ რაღაცა ასაკამდე დედიკო და მამიკოს უნდა სდიონ სულ, ვიღაცა უფროსი უნდა ყავდეთ და რა თქმა უნდა მეც ჩემი 4 შვილი, პატარა ოთახში მყავს გამოკეტილი და მან ამხელა საშუალება

აქვთ, ამას ყოველთვის აღნიშნავენ ბავშვები, რომ რატომ ვართ იქ, რატო ვცხოვრობთ ამერიკაში და აქ ამხელა სახლ-კარი გვაქვს და აქ არ ვცხოვრობთ, ეს ვერ წარმოუდგენიათ ბავშვებს, ეს ერთი, მეორე, 2015 წელს, როცა ჩამოვედით მაშინ, ირინა ხუჩიაშვილი, ჩვენი ახლობელი და მეგობარი, ის დაბრუნდა და რუსთაველის, გრიბოედოვის სახელობის თეატრში გვქონდა კონცერტი და ამ დაიქრავებაში, კულტურის სამინისტროც რა თქმა უნდა გვერდში ედგა, ქალბატონ ნინას, ნინამ ძალიან იყოჩაღა, ჩვენ თანხმები არ გადაგვიხადა ამ თეატრის დაქირავებაში და რა თანხაც შემოვიდა, ეს თანხა გადაეცა იმ დროს ასეთი ამბები, როცა მოხდა თბილისში 13 ივნისს დაზარალებულ ოჯახს, მამაოს ოჯახს, რომელსაც ივლიტა დაეღუპა და ამათ გადავეცით ეს მთლიანი შემოსული თანხა. როცა ძალიან ბევრ საქველმოქმედო კონცერტებში ვიღებთ მონაწილეობას და ვასწავლით ბავშვებსაც და ვუხსნით, რომ ეს არის საქველმოქმედო კონცერტი, რას ემსახურება და რატომ ემსახურება, იმიტომ, რომ ამ ბავშვებმაც უნდა იცოდნენ, როცა მიაღწევენ მწვერვალებს და ექნებათ ის საშუალება, რომ თვითონ გააკეთონ ქველმოქმედება თავისი ფინანსებით, უნდა იცოდნენ, რომ უნდა გაიღონ, დროც დახარჯონ და თანხებიც, თუ ვეღარ იცეკვებენ მაშინ, ეხლა შეუძლიათ რო ცეკვავენ და ასე წირავენ თავის დროს, როცა აღარ იცეკვებენ და ფინანსურად კარგად იდგებიან, ქველმოქმედება უნდა შეეძლოთ, აუცილებლად ვუხსნით ამ ბავშვებს, რომ ქველმოქმედები უნდა იყვენენ, სადაც არ უნდა იყვნენ ეს ბავშვები და ეს დავანახეთ თბილისში რომ ჩამოვედით, რომ აი ამა და ამ ოჯახს ასე ვეხმარებით და ამისთვის კეთდება ეს ყველაფერი, თუმცა, სხვა გეგმები იყო მაგრამ ეს მოხდა და შეიცვალა სიტუაცია და რა თქმა უნდა ყველა თანახმა იყო, რომ ქველმოქმედებაში გაგვეღო ეს თანხა, იმის მერე, ეხლა კიდე ვაპირებთ 9 ივლისს საქართველოში, ამ ზაფხულს 2023 წლის ზაფხულში, 9 ივლისს დაიგეგმა, ფილარმონიის სახელმწიფო დარბაზში კონცერტი, „ფესვების“ სოლო კონცერტი, და ჩვენ, რას ემსახურება, გვინდა, რომ ბავშვებს, ქართული მაყურებელი.... ძალიან ნერვიულობენ ხოლმე, რომ ქართველები ყავთ მაყურებელი, ერთია, რომ არაქართველი მაყურებელია და მეორე რომ ქართული მაყურებელია, სხვანაირად

განიცდიან, სხვანაირად ემზადებიან, სხვანაირად უნდა რომ მიაწოდონ და დაანხონ ის რას ემსახურებიან ასე შორს საქართველოდან, ამ კონცერტზეც ახლა, რომ მივდივართ თბილისში, ეს კონცერტიც იმას ემსახურება, რომ ჩვენ დავანახოთ ქართულ მაყურებელს, რას ვემსახურებით და ეს ბავშვები, როგორ ქართველებად გავზარდეთ და როგორ უყვართ ქართველობა, ჩვენმა ბავშვებმა დაინახონ ქართველი მაყურებელი როგორ თბილად ხვდება და როგორ აფასებს იმას, რომ ეს ბავშვები, ასე შორს, როცა შეუძლიათ თავიანთი ეს დრო სხვა რამეს მოახმარონ ახმარენ ქართულ კულტურას და უყვართ ქართველობა, ხვალ და ზეგ თუ დაბრუნდებიან და ამას ჩავდებთ, რომ უნდა დაბრუნდნენ საქართველოში და საქართველოს ემსახურონ, აი ეს გვინდა დავანახოთ ერთმანეთს, ქართველი მაყურებელი საქართველოდან, ჩვენ რა თქმა უნდა... კულტურის სამინისტროდან, საგარეო საქმეთა სამინისტროდან, საპატრიარქოდან, თუ კი ტელევიზიები, ვინმეს ხელი მიგვიწვდება და ხმა მიგვიწვდება რომ გავაგებინოთ რომ ჩვენ ჩამოვდივართ და იქედანაც ჩვენთვის მთავარი არის, რომ დაესწრონ და ნახონ რას აკეთებენ ეს ბავშვები, საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს ყოველთვის გამოყოფილი გრანტები, საზღვარგარეთ მოქმედი ანსამბლების და სკოლების, ამ წელს მაგალითად ორი გრანტი ავიღეთ ჩვენ და 10 000 ლარი მოხმარდა ამ ბავშვების კოსწიუმებს, დღეს მაგალითად უფროს თაობას აცვია აჭარულის კოსწიუმები და აცვიათ შავი ჩოხები, ეს სრულიად ამ თაანხით არის შეკერილი და კიდევ ეს კონცერტი ჩავატარეთ „ფესვების“ სოლო კონცერტი და მეორე გრანტი, რომელიც გამოიყო, რა თქმა უნდ აეს არ არის ის თანხა, რო ყველაფერი დაფაროს მაგრამ, პატარა და მცირედიც რაც შეიძლება რომ საქართველომ გამოყოს, საზღვარგარეთ მყოფი სკოლებისთვის, ესეც დიდი, დიდი დახმარებაა, თუმცა, ყოველთვის ვფიქრობ, რომ არ შევავსო გრანტზე, არ ავიღო, რატომაღაც მგონია ხოლმე ყოველთვის, რომ ქართველს ვართმევ რაღაცას, აქ ასეა თუ ისეა, ვმუშაობ, რაღაცნაირად ვკერავთ ფორმებსაც, ვახერხებთ ყველაფერსაც ბავშვებისთვის და რამოდენიმე წელი ვფიქრობდი, რომ შევავსო თუ არ შევავსო, შევავსო თუ არ შევავსო, მაგრამ კარგია, ძალიან კარგია რომ ეხმარება ჩვენი სახელმიწო საზღვარგარეთ მყოფ ქართულ სკოლებს, მაგრამ მგონია რომ იმათ ვაკლებ,

საქართველოში მყოფ ბავშვებს რაღაცას ვაკლებ და სულ აი გული მეწვება ხოლმე... არვიცი ეს რამდენად სწორია მაგრამ ესეთი შეგრძნება მაქვს და სულ აი ვიღაცის ესე ჩიჩხინით უფრო ვავსებ - შორენა შეავსე, შორენა შეავსე, იმ ფორმას შევკერავთ, მშობლებიც შეკერავს და აქ რაღაცას ვიზამთ, როგორღაც მოვახერხებთ, მაგრამ, თუმცა, მშობლებისთვისაც დიდი შეღავათია, რომ ზოგს 2 და 3 შვილი ყავს, როგორც მე და მიწევს 4 ფორმის შეძენა ხოლმე, ხანდახან მარა, ჩემთვისაც დიდი შეღავათია, მარა, მგონია რომ მაინც რაღაცა ქართველ ბავშვებს საქართველოში ვაკლებ იმ თანხას და მირჩევნია ხოლმე რომ არ ავიღო, მაგრამ მაინც უდიდესი მადლობა ჩვენს სახელმიწფოს რომ როგორც შეუძლია ისე ზრუნავს ქართულ სკოლებზე საზღვარგარეთ.

**ინტერვიუერი:** - თვითონ აი აქ ადგილზე ქართულ თემს რომ შევხედოთ, თუ არსებობს აი ურთიერთდახმარების მექანიზმები, აი თქვენ გაიხსენეთ, რომ 25 თქვენი ჯგუფის წევრი ერთმანეთს ედექით გვერდში, აი ეხლანდელ სიტუაციას, რომ შევხედოთ, როგორი გამოცდილებებია, როგორ ეხმარებიან ქართველები, როგორ უწყობენ ხელს პირველი პერიოდის გადალახვაში, რამე სისტემური მექანიზმები არსებობს თუ ყველა მაინც უფრო ინდივიდუალურად ეძებს სანაცნობო წრეს, რომ აი ამ პირველად გამოწვევებს თავი გაართვას და გადალახოს?

**რესპონდენტი:** - ცოტა ეხლა ვიტყვი რაც რეალობა არის, ძველ ჩამოსულებს და ახალ ჩამოსულებს შორის (იცინის), აი ეს სიტუაცია არის, მე იმდენად ვარ ახლა ჩაკეტილი, ჩემი ცხოვრება არ მაქვს, ჩვენ ცხოვრება არა გვაქვს სექტემბრიდან ივლისამდე, ვცდილობ ხოლმე რომ არ გავერიო, არ შევერიო, თუ კი ვინმეს ჩემი დახმარება უნდა აგერ ვარ და რაც შემიძლია ვეხმარები, მაგრამ სადაც ქართველები არიან იქ ყოველთვის არის რაღაცა ნეგატივი და ძალიან დიდი დადებით, რა თქმა უნდა, ვიტყვი კიდე რომ გვერდიდან, სხვა კოლექტივიდან როცა გვიყურებენ, ისინი არიან ყოველთვის შოკში, რას აკეთებთ ქართველები ამისთანას და ერთმანეთს როგორ უდგეხართ გვერდში და რა მექანიზმი გაქვთ რომ ამხელაზე ვართ და კულტურა ამხელა (სიმაღლეზე) გვიყენია,

ბავშვები ასე ქართულად გავზარდეთ და ასეთი და ძალიან ბევრს უკვირს, ბევრჯერ უთქვიათ  არაქართველებს, რო როგორ ახერხებთ, გეხმარებათ ვინმე, ამ ყველაფერს როგორ იმაშვებით, რო ასეთ დონეზე ვართ, მაღალ დონეზე ვართ, ხარისხით, ვგულისხმობ ქართული სკოლები, სხვა სკოლებთან შედარებით. ერთმანეთში, რაც შეეხება, ძველი ჩამოსულები, სულ არი კამათი, რო თქვენ ახალჩამოსულებს არ გინდათ გაიაროთ ის რაც ჩვენ გავიარეთ, პატარა ხელფასზეც არ მიდიხართ, ყველაფერი გინდათ ესე უცბათ, რასაც ჩვენ ესე წლები მოვანდომეთ, ახალი ჩამოსულები იძახიან რო აი რატო უნდა გავიაროთ, ეს ძველი ჩამოსულები რატო იძახიან, რაც თვითონ იწვალეს ჩვენც ის ვიწვალოთ, აი რატომ  (იღიმის), აი ეს ჭიდილი სულ არის ახალ და ძველ ჩამოსულებს შორის, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ ძალიან დიდი დახმარება აქვთ ახალჩამოსულებს, აქ დამხვედრი ძველი ემიგრანტებისგან შეიძლება ითქვას, ვინც ფეხზე დგას, ვინც მყარად დგას,  ვისაც პატარა რაღაც შეუძლია გაიღოს ახალი ემიგრანტისთვის, მე ვიცი ძალიან ბევრი ჩემს გარშემო რო ძალიან დიდად ეხმარებიან, ქართული ჯგუფებია შექმნილი ფეისბუქზე, უამრავი ქართული ჯგუფია, რომლებიც ცდილობენ ძალიან ბევრს ახალი ემიგრანტებისთვის, ჯერ რომელიც ჩამოსული კი  არ არის იმასაც კი, იმასაც კი ინფორმაცია მიწოდებული აქვს, ძალიან დიდი დახმარება, კითხვა არ არი დასმული, რო პასუხს იძლევიან უკვე, ყველა ქართული ჯგუფი, არ მინდა ხოლმე ჩამოთვლა, არ მიყვარს რომ ვინმე არ გამომრჩეს, მაგრამ არ ვიცი, შეიძლება ითქვას რო „მილენიუმი“, „ჩვენ ამერიკაში“,  „მადლიანი საქმე“, „სუპერ დედები“, ქალბატონი მზია წულუკიძე, აი უამრავი ჯგუფია და ყოველთვის მადლობას ვეუბნები  ამ ჯგუფებს, რომ ნამდვილად ნევრი ჭირდება, ნამდვილად დრო ჭირდება, ნამდვილად დასაფასებელია ის რასაც აკეთებენ, რომ ბინის მოძებნა, სამსახურის მოძებნა, ექიმის მოძებნა,  თუ რამე პრობლემაა, ყოველთვის დგანან თავის სიმღლეზე, რომ პასუხი მიიიღონ, პასუხი გასცენ, ანუ ვიღაცა გამოჩნდეს სადღაც წაყვეს, წამოყვეს და ამ სიტუაციას ვხედავ, კოვიდის დროს იყო და აგერ თვისტომი არის ნიკა ჩხეიძის ხელმძღვანელობით, ბატონო ნიკა ჩხეიძის გაერშემო ძალიან ბევრი ქართველები ჰყავს, ქალბატონი ინა, შეიქნა რაღაც კრიზის ცენტრი, ექიმები და ამბები და ბევრი ქართველი

იყო ჩართული ამ ყველაფერში, მე მაგალითად რამოდენიმეჯერ თანხა გადავრიცხე, არ შემეძლო ფიზიკურად  რომ დავხმარებოდი, მაგრამ ვიღაცას შეეძლო ფიზიკურად, ვიღაცას თანხებით და ძალიან დიდი დახმარება იყონ გაღებული ამ ჯგუფის წვერების მხრიდან, თუნდაც  ფიზიკურად გადაყვანის, საჭმელის მიტანის, რაც ჭირდებოდათ ამ კოვიდის დროს, ამ ყველაფრის მოძებნაში და მარტო ამერიკაში არა, აქედან ძაან  ბევრი თანხები იგზავნებოდა იტალიაში, მახსოვს ქართველ ემიგრაციაში და მახსოვს სხვადასხვა ქვეყნებში, ვინც დაწერდა, რომ აი მიჭირს, რაღაცა მჭირდება, რაღაცა არა მაქვს, ძალიან დიდი ჩართულობა იყო დახმარების და ვერ ვიტყვი, რომ არ ეხმარებიან, შეიძლება 1 და 2 და ჰა 10 იყოს უკმაყოფილო ქართველი, რომ აი ძველი ემიგრანტი არ მომეხმარა, რაღაცა მარა, უმეტეს შემთხვევაში 90%-ს, 99% შემიძლია ვთქვა, რომ დახმარება აქვთ ემიგრანტებს.

**ინტერვიუერი:** - თუ შევადარებთ, ძველ თაობას და ახალ თაობას, ემიგრანტების, გამოწვევები რამდენად ერთნაირია, აი მაგალითად შეიძლება იყოს ლეგალური ან არალეგალური სტატუსი, ენის ცოდნა, სამსახურის პოვნა, ანუ ძველი ემიგრანტების შემთხვევაში ამ სამი კომპონენტიდან, ენობრივი ბარიერი, ფინანსური მხარდაჭერა, სამსახურის მოძებნა, სტატუსის მოპოვება, ახალ  თაობას თუ ახალ ტალღას თუ დავადარებთ ამ ემიგრანტების, რამდენად მსგავსი და განსხვავებულია?

**რესპონდენტი:** -  მე ვთვლი რომ ძველი თაობის ემიგრანტებმა რაც გამოიარეს, ალბათ ახალი თაობის ემოიგრანტები ამას ვერ გაივლიან, ფიზიკურად ვერ გაივლიან, იმიტო რომ იმხელა ინფორმაციის წყარო აქვთ უკვე ახალ ემიგრანტებს რო ვერ გაივლიან, იმას, რაც ჩვენ გავიარეთ, რა თქმა უნდა ენის ბარიერი გვქონდა, რა თქმა უნდა უსამსახურეობა და უსაბუთობა გვქონდა ჩვენ და არ ვიცი როგორ ვეძებდით მაშინ, ტელეფონები იყო, რომ სამსახურები მოგვეძებნა, რაღაც აგენტები იყვნენ, დღემდე არიან ეს აგენტები,  ვისთანაც 20 წლის წინ რეკავდა ხალხი დღესაც რეკავენ, ეს არის საერთო (იღიმის), მაგრამ ჩვენ გვქონდა ინფორმაციული ვაკუუმი ნამდვილად, 98-ში (1998 წელს), წარმოიდგინე 98 წელს რო ჩამოვედით იქნებოდა ინფორმაციის ვაკუუმი,

არ იყო არანაირი ინტერნეტი, არ იყონ არანაირი ტელეფონი, მობილური არ გვქონდა და ამას ვერ გაივლის ის ახალი ჩამოსული, ახალი თაობა, რომც ეცადოს, იმიტომ, რომ ნამდვილად კითხვა არ არის დასმული რომ პასუხი აქვთ უკვე გაცემული და თვითონაც არ სჭირდებათ კითხვის დასმა იმიტომ, რომ, ტელეფონია, ინტერნეტია, ჩაწერენ და ყველაფერი აქვთ.

**ინტერვიუერი:** - აი თქვენ გაიხსენეთ ფილადელფიაში გადასვლის შემთხვევა და ორი ქალბატონი ახსენეთ თუ სწორად მახსოვს, ისინი მანამდე იყვნენ ჩამოსულები, თქვენამდე იყვნენ ჩამოსულები?

**რესპონდენტი:** - კი, ჩვენამდე იყვნენ, ეს იყო ფლორიდაში. მანამდე იყვნენ ჩამოსულები და ჩვენი ერთ-ერთი მოცეკვავის მეზობელი იყო ეს ქალბატონი და იქედან იცოდა და ტელეფონი ჰქონდა (მის მეგობარს), რომ აი ლია არის იქ და თუ დამჭირდა დავურეკო, აი ასეთი მომზადებული იყო ჩამოსული ჩვენი ერთ-ერთი მოცეკვავე (იღიმის) და მართლა როცა დაგვჭირდა, იმ საბუთის მერე დავურეკეთ და გვითხრა რომ ჩამოდით გოგოებო მაქვს სამსახურები თქვენთვის, უკვე სუპერვაიზორი იყო...

**ინტერვიუერი:** - რამდენი ხნის ჩამოსული იყო ხომ არ გახსოვთ დაახლოებით თქვენამდე

**რესპონდენტი:** - ალბათ, 1.. 1-2 წლის ალბათ, მეტი არ იქნებოდა, მაშინ ეხლა ერთ პერიოდში წამოვიდა ემიგრანტობა და დაიცალა იმ პერიოდში საქართველო და ალბათ მაქსიმუმი 1-2 წლის ჩამოსული იქნებოდა

**ინტერვიუერი:** - აი იმ პერიოდს თუ ავიღებთ, უმრავლესობა ვისთანაც ჩავწერეთ ინტერვიუები ჩამოსულია 1997-1998 წელს, აი გზა, რა გზითაც მოდიოდით, ფრენას რა ქალაქების გავლით იღებდით, თუ გახსოვთ რა გზით წამოხვედით?

**რესპონდენტი:** - ჩვენ, ჩვენ არ გაგვჭირვებია ვიზის აღება, არც ვმდგარვართ დღეები და ღამეები ვიზაზე, მივედით, როგორც მოცეკვავეები, ჯგუფი, გამოპრანჭულები

ლამაზად, უცებ ვიზა ავიღეთ და წამოვედით და ჩვენი... თვითმფრინავის გზა, გამოფრენის იყო მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი და 24 საათი მოგვიწია იქ გაჩერება, როგორც მახსოვს, თუ ერთი ღამე და მოსკოვიდან გამოვფრინდით პირდაპირ ნიუ-იორკში, კი მოსკოვში და ესე, მე და ვანოს ის გვაქვს ხოლმე გასახსენებლად მაშინ გავიგე პირველად ვანოს ხმა, იმიტომ, რომ არ გვისაუბრია თბილისში, არ შევხვედრივართ ისე იმათ, რომ სასაუბროთ გვქონოდა, ყური რომ მოვკარი, რომ იყო ცოლიანი და ნაცოლარსაც დავარქმევ, იქ დამთავრებული იყო ყველაფერი უკვე ჩემთვის, მაგრამ ნუ მოსკოვში რა უნდა გვეკეთებინა და გავიგე შენზე რომ ფანდურს უკრავო, ესეთი იმით მოვიდა ვანო ჩემთან და მაშინ გავიგე პირვლად ვანოს ხმა და ის სიმღერ-სიმღერით გავატარეთ ყველამ ის ღამე მოსკოვის აეროპორტში და გამოვფრინდით მერე ნიუ-იორკში, ნიუ-იორკში, აქ დაგვხვდა უკვე ჩამოსული იყო ჩვენი ხელმძღვანელის მეუღლე, ბინა ჰქონდა აღებული და მოგვიყვანეს რესტორანში, იმ ბინაში და მერე დაიწყო ჩვენი სიძნელეები, იმიტომ, რომ თვითონაც ალბათ, ვფიქრობ, რომ თვითონაც არ ელოდნენ ჩვენი ხელმძღავნელობა, რომ ასე მოტრიალდებოდა, მაგრამ არ იყო კარგად დაგეგმილი ეს ყველაფერი და მოგვიწია მერე ესე ყველას ერთად დარჩენა, ისე საერთოდ გულში მქონდა, რომ შეიძლებოდა დავრჩენილიყავი, მარა არ ვეუბნებოდი დედაჩემს და მამაჩემს, იმიტო, რომ აღარ გამომიშვებდნენ (იღიმის),

**ინტერვიუერი:** - თუ გეგმავთ საქართველოში დაბრუნებას როდესმე და აი რატომ აპირებთ რომ დაბრუნდეთ?

**რესპონდენტი:** - კი, ეს არის ჩვენი ოცნება. როგორც ავღნიშნე თავიდანვე შეცდომა დავუშვით, რომ სულ ვფიქრობდით, რომ დავბრუნებულიყავით და საბუთებს არ მივხედეთ, ჩემი მეუღლე პირველად საქართველოში დაბრუნდა 23 წლის მერე, 23 წელი არ იყო და ეს 23 წელი ისიც კი გვიკვირს როგორ გავძელით, როგორ გადავიტანეთ, როგორ გაძლო ასეთმა პატრიორტმა ადამიანმა და იმ საქმემ რასაც ვემსახურებოდით, ამან გააძლებინა, იმიტომ, რომ სულ ქართულ საქმეში იყო, სულ ქართველი ბავშვები,

სულ ქართული კულტურა, სულ ქართული საქმე და აი ამან გადაატანინა ის, რომ 23 წელი არ ყოფილა საქართველოში და თითქოს საქართველოში ხარ, აქ რომ ხარ ჩვენთან გგონია, რომ საქართველოში ხარ, ვერ გრძნობ რომ ამერიკაში ხარ და იმასაც ვიტყვი, რომ დაბრუნებას რაც შეეხება ყოველთვის ვბრუნდებით, დღესააც ვბრუნდებით და ასე ვბრუნდებით უკვე 25 წელია, მაგრამ ალბათ საქართველოში დაბრუნება კი არა ნიუ-იორკიდან ვერ გადავედით  საცხოვრებლად სხვა ქალაქში, როცა უკვე ეს ყველაფერი დავიწყეთ, აი თითქოს, რომ გეძახის, რომ აი რასაც ვემსახურებით ჩვენ საქმეს გეძახის უკან, რომ ნიუ-იორკში დარჩე და მიბმული ხარ ამ „ფესვებზე“ რომ, ჩემს შვილებზე არანაკლებად მიყვარს, მართლა, იმიტო, რომ ჩემს შვილებზე ბევრი დრო დავახარჯეთ ამ ყველაფერს და ამ ქართულ საქმეს, ბევრჯერ ყოფილა, რომ მოდი გადავიდეთ ან წავიდეთ, მაგრამ რა ვუყოთ მერე „ფესვებს“, „ფესვები“, „ფესვები“, „ფესვები“ ? ხშირად გვქონდა ეს პროცესი რომ „ფესვები“ ვერ დავტოვეთ და ვერ გავეცალეთ ამ გარემოს და ამან ძალიან დიდი როლი ითამაშა, რომ ჩვენ მალევე არ დავბრუნდით და დროზე არ დავბრუნდით და სულ ვნანობ იმას, რომ დრო დავხარჯეთ, ბევრი დრო დავხარჯეთ და არ მივხედეთ რაღაცა ფინანსურად რაღაც-რაღაცეებს, ერთადერთი რაც მე და ვანოს გაგვაჩნია საქართველოში არის ერთი ბინა, რაც შევძელით და ვიყიდეთ 2004 წელს, მახსოვს 2004 წელს, ისიც ჩემმა დედამთილმა ძალიან იყოჩაღა და რაღაცნაირად მოგვარდა ამ ბინის ყიდვა, დანარჩენი სულ ვფიქრობთ, რომ აი კი ჩამოვალთ მაგრამ აი საფუძველი ხომ უნდა გქონდეს რაღაცის, რომ ხვალ და ზეგ ისევ გამოქცევა არ მომიწიოს აქეთ ხომ, ეს ჯერ ვერ შევქმენით, იმიტო, რომ მართლა ჩვენი ფინანსები და ჩვენი დრო „ფესვებს“ მიაქვს იმდენად, რომ ფინანსები არ გვაქვს, რო ეს ყველაფერი საქართველოში აგვეშენებინა და დავბრუნებულიყავით, მაგრამ, დღემდე ვბრუნდებით. ეხლა ვფიქრობთ, რომ ბავშვები გაიზარდნენ, ჩემი შვილები თუ წამოვლენ, ძალიან უყვართ საქართველოში, უნდოდათ დაჟე, ჩემ გოგოებს, ოღონდ იქ ვისწავლით და რაღაცა და დავბრუნდებით და იქიდან, იქ გავაგრძელებთ ცხოვრებას და ვფიქრობთ, ეხლა იმას, რომ თუ ბავშვები, ისე დადგებიან ფეხზე და აღარ ჭირდებათ დედიკო და მამიკო და მყარად დგანან, მე და ვანო დღესაც ვაპირებთ, რომ წამოვიდეთ

და ვანოს ისიც უნდა რომ სნოდან არის ვანო, ყაზბეგიდან და იქ ვიცხოვროთ და იქიდან ესე რაც შეგვიძლია მივეხმაროთ შვილებსაც და რაც შეგვიძლია ჩვენს საქართველოსაც ჩვენი გამოცდილება, რაც გვაქვს ცხოვრებისეული აქ და ამაზე დიდი ლექციები შეგვიძლია წავიკითხოთ, მითუმეტეს ვანოს, მოვახმაროთ იმ ახალგაზრდებს ვინც საქართველოში არიან და მაგალითად იცოდნენ, რომ ჩავლენ და წავლენ სადღაცა, რითი დაიწყონ და რა გააკეთონ და ის შეცდომები აღარ გაიარონ, რაც ჩვენ გავიარეთ. სხვათაშორის სულ ვიძახი რომ ემიგრაცია, როგორც ჯარია და ჯარი რომ აუცილებელია ახალგაზრდა ბიჭისთვის, ორ წლიანი ემიგრაცია ვფიქრობ, რომ ახალგაზრდობამ უნდა გაიაროს, სხვანაირად აფასებ დროს, სხვანაირად აფასებ შენს სამშობლოს, რაც კარგი გაქვს, სხვანაირად უყურებ რაღაც-რაღაცეებს, გადაფასება ხდება და მეტად აფასებ შენს სამშობლოს კიდევ და რაღაცა პროგრამები, რომ იყო 2 წელი ეს ბავშვები მიდიოდნენ, გადიოდნენ ამ ემიგრაციას, თავისი სირთულეებით, დედიკოს და მამიკოს გარეშე, რომ ისწავლონ ცხოვრება და უკან დაბრუნდნენ, ეს ცუდი არ იქნება, ნამდვილად და მიეხმარება ცხოვრებაში ამ ახალგაზრდებს. ემიგრანტობაც გამოცადონ არ არის ცუდი და აი მაგალითად საქართველოში დრო სხვანაირად არი განაწილებული, რაღაცა ამ საზღვარგარეთ რომ მიდიხარ სხვანაირად უნდა გადაანაწილო და ეს მერე რაღაცეებში გეხმარება რომ სწრაფად, სწრაფად, სწრაფად შენს მიზნებს მიაღწიო და ნამდვილად საჭიროა რომ მაგალითად ემიგრაცია(ში) ახალგაზრდობამ 2 წელი მაინც გიაროს, მაგრამ მეშინია იმის, რო რომ გამოუშვა მერე უკან აღარ დაბრუნდეს, უნდა დაბრუნდეს, ყველა უნდა დაბრუნდეს უკან... (იცინის)

**ინტერვიეური:** - ძალიან დიდი მადლობა ინტერვიუსათვის.